განმცხადებელი: ანა აფციაური
თარიღი : 19-04-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **:** პრინციპი 7;პრინციპი 10

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **:** ნანუკა ჟორჟოლიანი, გადაცემა "სხვა ნანუკა" ტელეკომპანია "მთავარი არხი"

სადავო მასალა **:** https://www.youtube.com/watch?v=6kAsp-yHJQA

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : 2021 წლის 24 მარტს, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, ასმათ დვალიშვილი, მიწვეულ იყო ტელეკომპანია მთავარ არხზე გასულ საავტორო გადაცემაში "სხვა ნანუკა". ძალადობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით შეკითხვების დასმასთან ერთად, გადაცემის წამყვანი, ნანუკა ჟორჟოლიანი, პერიოდულად გამოთქვამდა მოსაზრებებს: - *„ინდივიდუალურია, ყველა თავისთვის იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ მე მხოლოდ საქმიანი ურთიერთობებით მყოფ მამაკაცთან რაღაცა ცოტა უხერხულობა მექნებოდა, მაგრამ ჩემით არ განისაზღვრება. ვიღაცას შეიძლება არ ჰქონდეს.."* - *„მე მყავს არასაქმიანი მეგობრები, რომლებთანაც მაქვს ასეთი ურთიერთობა, რომ ჩვენ ერთად წავალთ სამოგზაუროდ. ..საქმიანი ურთიერთობა მაინც სხვანაირია. მე მაქვს საქმიანი ურთიერთობაც, მაგრამ ის უფრო ფორმალურ ურთიერთობას მოიცავს და მეგობარი მაინც უფრო სხვა არის."* - *„ასმათ, გადავირევი ახლა. ეს კაცი გკოცნიდა ორი წუთის წინ. რაის ვერ მოისვენა ტახტზე?! ...კაცი წელან მოვიდა, კოცნას გთხოვდა.."* *„ეს ძალიან ინდივიდუალურია, ასმათ, მაგრამ მე რომ რომელიმე მეგობარმა ეს მაკადროს, ახლა რასაც შენ ამბობ, კომენდანტის საათი კი არა, დაიწყევლის რომ დაიბადა. ხო ხვდები, ეს ძალიან ინდივიდუალურია, მაგრამ..."* - *„ამის შემდეგაც არ მიდიხარ სახლიდან. ...რისთვის?... ...რა მეგობრობისთვის, ასმათ?.... ...ეს უკვე მეოთხე ძალადობის მცდელობაა..."* - *„და არ მიდიხარ მაინც... ...მე მაპატიე, რომ არ მესმის, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა, რომ არ მესმის. ეს ხომ ინდივიდუალურია, ვიღაცას მეტად აქვს პატიების უნარი, ვიღაცას არ აქვს. მე არ მაქვს."*

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გადაცემის მიმდინარეობისას, რესპოდენტის ნათქვამთან/ძალადობის ფაქტის კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით, წამყვანმა არაერთხელ დააფიქსირა უნდობლობა: - *„შენ მე მეუბნები, რომ კაცმა ერთი ბოთლი კონიაკი დალია, მარიხუანა მოწია და ადეკვატურია?!"* - *„ძალით კოცნაც ძალადობაა, ძალით შეხებაც ძალადობაა, ეს ყველაფერი ძალადობაა. უბრალოდ, იცი რა ეპიზოდია ჩემთვის ცოტათი კითხვის ნიშნის.. აი, ეს გულის წასვლის ეპიზოდი.."* - *„ვინმეს ხომ არ ემესიჯებოდი?... ..დარწმუნებული ხარ?... აი, ახლა მე შენ განახებ კადრს.. წერია, რომ ვინმე „ჭოლას" უგზავნი ფაილს...."*

ნანუკა ჟორჟოლიანმა, გადაცემა დაიწყო რესპოდენტის პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების/მხარდაჭერის და მასთან საერთო გამოცდილების გაზიარებით. ამით, წამყვანი გარკვეულ მინიშნებებს აკეთებდა ბრალდებულის პოზიციასთან, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დევნის მსხვერპლია. - *„ქალბატონი ასმათი წარმოადგენდა „ნაციონალური მოძრაობის" აქტივს, მხარდამჭერს, ადამიანს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობისთვის" მუშაობდა იმერეთში. ...შემდეგ კი გამიკვირდა თავდაცვის სამინისტროს რიგებში რომ გნახე". რამდენად ლოგიკურია, რომ „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტ, მხარდამჭერს, პოლიტიკურ პროცესებში ჩართულს, ღარიბაშვილის უწყება კარებს გიღებდა და ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდი. ანუ, ეს ხომ ცოტათი არათავსებადი არის?!"* გარდა ამისა, წამყვანი, გადაცემის მსვლელობისას, სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლ ქალს, არაკომფორტულ გარემოს უქმნის. გადაცემა იწყება ბრალდებულის ადვოკატთან ინტერვიუთი, რომელსაც სტუდიიდან ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი უსმენს. ნანუკა ჟორჟოლიანი,

გადაცემის მიმდინარეობისას, ასმათ დვალიშვილს აპირისპირებს ელისო კილაძესა და გოგიტა გოგელაშვილთან.

მე-7 პრინციპის დარღვევის დასაბუთება გადაცემის წამყვანი, ნანუკა ჟორჟოლიანი, რესპოდენტთან ძალადობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით შეკითხვების დასმის პარალელურად, პერიოდულად გამოთქვამდა მოსაზრებას რესპოდენტის მონათხრობთან დაკავშირებით. წამყვანი პირადი პოზიციის გამოთქმისას ავლენს მის აღშფოთებას/საყვედურს/გაოცებას რესპოდენტის საქციელის/ქმედების მიმართ, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოავლინა საქმიან ურთიერთობაში მყოფ მამაკაცთან ერთად ღამით ერთ სივრცეში დარჩენითა და მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას. *(„ეს ძალიან ინდივიდუალურია, ასმათ, მაგრამ მე რომ რომელიმე მეგობარმა ეს მაკადროს, ახლა რასაც შენ ამბობ, კომენდანტის საათი კი არა, დაიწყევლის რომ დაიბადა. ხო ხვდები, ეს ძალიან ინდივიდუალურია, მაგრამ...“; „ამის შემდეგაც არ მიდიხარ სახლიდან. ...რისთვის?... ...რა მეგობრობისთვის, ასმათ?.... ...ეს უკვე მეოთხე ძალადობის მცდელობაა...“; „და არ მიდიხარ მაინც... ...მე მაპატიე, რომ არ მესმის, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა, რომ არ მესმის. ეს ხომ ინდივიდუალურია, ვიღაცას მეტად აქვს პატიების უნარი, ვიღაცას არ აქვს. მე არ მაქვს.“)*

წამყვანი სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ქალს რამდენჯერმე განუმარტავს, როგორც მოიქცეოდა მის ადგილზე და მის გამოცდილება დაყრდნობით ახდენს საქმიან და სხვაგვარ ურთიერთობაში მყოფ მამაკაცთან ქცევის განსხვავებულ სტანდარტზე მითითებას *(„ინდივიდუალურია, ყველა თავისთვის იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ მე მხოლოდ საქმიანი ურთიერთობებით მყოფ მამაკაცთან რაღაცა ცოტა უხერხულობა მექნებოდა, მაგრამ ჩემით არ განისაზღვრება. ვიღაცას შეიძლება არ ჰქონდეს..“; „მე მყავს არასაქმიანი მეგობრები, რომლებთანაც მაქვს ასეთი ურთიერთობა, რომ ჩვენ ერთად წავალთ სამოგზაუროდ. ..საქმიანი ურთიერთობა მაინც სხვანაირია. მე მაქვს საქმიანი ურთიერთობაც, მაგრამ ის უფრო ფორმალურ ურთიერთობას მოიცავს და მეგობარი მაინც უფრო სხვა არის.“).*

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალურ ძალადობაზე მსხვერპლები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. სამართალდამცავი ორგანოები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ ვარაუდით, რომ სექსუალური ძალადობის დროს მოსალოდნელია მსხვერპლისთვის დამახასიათებელი მხოლოდ რაიმე სახის ქცევა(https://rm.coe.int/16800d383a). ამდენად, სექსუალური ძალადობაზე ქალის რეაქცია/საპასუხო ქმედება, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, მრავალგვარი შეიძლება იყოს და გამოიხატებოდეს გაშეშებაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო მოთმენაში ანდა სხვა არააქტიურ ქმედებაში. ქალისთვის კონკრეტულ მამაკაცთან ურთიერთობის ან განსაზღვრულ სიტუაციაში, მათ შორის, სექსუალური ძალადობის დროს „სწორი“ ქცევის ფორმის მითითება, წარმოადგენს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას. ასეთი პრაქტიკა ემსახურება ძალადობის მსხვერპლის ქალის დადანაშაულებას მის მიმართ განხორციელებული ძალადობის პროვოცირებაში და იმაზე მითითებას, რომ ქალის „სათანადო/ადეკვატური“ ქცევის/ქმედების შემთხვევაში ასეთი შედეგი არ დადგებოდა. მე-10 პრინციპის დარღვევის დასაბუთება ჟურნალისტი ვალდებულია, პროგრამების მომზადებისას და ეთერში გაშვებისას არ დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის უფლების ხელყოფა. მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაშიცაა საუბარი, კერძოდ, მე-10 პრინციპი ადგენს, რომ ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. მოცემულ საქმეში, ნანუკა ჟორჟოლიანი რესპოდენტთან საუბარს იწყებს მისი საქმიანობისა და პოლიტიკური შეხედულებების განხილვით. ინტერვიუს მიმდინარეობის დროს წამყვანი რამდენჯერმე მიუთითებს ასმათ დვალიშვილის კავშირზე რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან, პოლიტიკოსთან თუ საჯარო უწყებასთან (თავდაცვის სამინისტრო). გარდა ამისა, წამყვანი სტუმარს რამდენჯერმე აზუსტებინებს, რა სახის ურთიერთობა ჰქონდა ბრალდებულთან.

რესპოდენტის მიერ პასუხების მიღების შემდეგ, ნანუკა ჟორჟოლიანი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ურთიერთობის კონკრეტული ფორმების შესახებ. ამასთან, გადაცემის ბოლო ნაწილში, გადაცემის წამყვანი რესპოდენტს ეკითხება წარსულში სხვა პირის მიერ მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო ძალადობაზე (ასეთი ქმედების ბრალდებაზე) და ურთიერთობაზე გოგიტა გოგელაშვილთან. სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, რადგან ამ საქმეში ბრალდებული მოქმედი პოლიტიკოსია. თუმცა თავად სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი არ გულისხმობს ამ სამართალდარღვევის სავარაუდო მონაწილეთა შესახებ არსებული ყოველგვარი ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის დადასტურებას. საზოგადოებრივი ინტერესის საგანი შესაძლებელია იყოს მხოლოდ სამართალდარღვევის სავარაუდო მონაწილეთა პირთა შესახებ ისეთი პირადი სახის ინფორმაცია, რომელზეც პასუხის გაცემას წვლილი შეაქვს სავარაუდო სამართალდარღვევის არსებობის/არარსებობის დადგენის საქმეში. განსახილველ საქმეში წამყვანის მიერ ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის პოლიტიკური სიმპათიის დადგენა ემსახურებოდა ბრალდებულის პოზიციის გამყარებას და საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რომ ბრალდებული პოლიტიკური დევნის მსხვერპლია. მეტი სიმწვავისათვის წამყვანი მიუთითებს ერთდროულად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტის სტატუსისა და სამთავრობო უწყებასთან პროფესიული თანამშრომლობის შეუთავსებლობაზე. ნანუკა ჟორჟოლიანის მიერ საკითხის ამგვარად დაყენება ამძაფრებს საზოგადოებაში არსებულ აზრს, რომ ასმათ დვალიშვილი ხელისუფლებასთან შესაბამისი გარიგების სანაცვლოდ ეწეოდა პოლიტიკოს გოგი წულაიას მიმართ დანაშაულის პროვოკაციას. ამასთან, წამყვანის მიერ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის ტიპის დაზუსტება და დაზარალებულის წარსულ ურთიერთობაზე საჯაროდ აპელირება, ასევე, არ არის საკვანძო ფაქტორები ძალადობის არსებობის/არარსებობის დადასტურებისათვის. სექსუალური ძალადობა პოტენციურად შესაძლებელია განხორციელდეს ყველა პირის მხრიდან, მიუხედავად იმისა რა ურთიერთობა აკავშირებთ ბრალდებულსა და დაზარალებულს. ამასთან, ჟურნალისტის მცდელობა მიეთითებინა ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობების სპეციფიკაზე, არ არის რელევანტური, რადგან პირი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა გახდეს, როგორც უცნობი პირის, ასევე, მეუღლისა და პარტნიორის მხრიდან. ამასთან, დაზარალებულის წინარე ურთიერთობები არ გამორიცხავს პირის კვლავ ძალადობის მსხვერპლად გახდომას. პირადი ცხოვრების ზემოხსენებული დეტალების საჯაროდ გაჟღერება არ შეიცავდა დამატებით ინფორმაციას სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის გამორკვევის საქმეში, არამედ მიზნად ისახავდა ცენტრალური თემიდან - ძალადობის ფაქტის არსებობა, საზოგადოებრივი ყურადღების გადატანას სავარაუდო მსხვერპლის მორალურ გაკიცხვაზე/ღირებულებებზე, რათა გაემართლებინა სავარაუდო ძალადობის აქტი. პირადი ცხოვრების ამ დეტალებზე ფოკუსის მიქცევა ამყარებს ცრურწმენას/სტერეოტიპს/სტიგმას იმის თაობაზე, რომ „შელახული რეპუტაციის ქალი“ (ან სულაც ქალი), რომელიც მამაკაცთან ერთად საერთო სივრცეში რჩება ღამის განმავლობაში აუცილებლად უნდა ელოდოს სექსუალური ხასიათის ურთიერთობის დამყარებას. ჟურნალისტმა ასმათ დვალიშვილის პორტრეტის და საზოგადოებაში მისი აღქმისათვის უარყოფითი განწყობები შექმნა. შესაბამისად, გადაცემის აღნიშნული ეპიზოდები, რესპოდენტის პირადი ცხოვრების არაპროპორციული ხელყოფის მცდელობას წარმოადგენს.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **: ვეთანხმები**